



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი უმაღლესი საგანმანათლებლო  
პროგრამის შესახებ

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება**

მოდის დიზაინი და ტექნოლოგია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება**

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი

**19 ივლისი 2021წელი**

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი

**20 ივლისი 2021წელი**

თბილისი

2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მოდის დიზაინი და ტექნოლოგია (Minor - ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ტექნოლოგია) Design and technology of fashion
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	ინჟინერიის ბაკალავრი ტექსტილის ტექნოლოგია /საინჟინრო ტექნოლოგიაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	დეტალური სფერო: 0723 ტექსტილი (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ტყავი) Bachelor in Engineering
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების	-----

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმარტებული დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	პროგრამის ხანგრძლივობა: 240 კრედიტი ძირითადი (major) პროგრამა - 180 კრედიტი (minor) პროგრამა/თავისუფალი კრედიტები - 60 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტირებულია აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (გადაწყვეტილება No19; 26.03.2019; აკრ. ვადა 26.03.2023) მოდულირებულია, პროგრამა განხილული და დამტკიცებულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (ოქმი #17. 15.07.2020)

### ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა იაშვილი, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნია ნათბილაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე ჯერ კიდევ 2012 წლიდან მოქმედებდა აკრედიტებული საბაკალავრო პროგრამები „მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობათა ტექნოლოგია“ და „გამოყენებითი დიზაინი“.

2015 წელს შემუშავდა ორი დამოუკიდებელი მაინორ პროგრამა: „მოდის დიზაინი“ და „ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კონსტრუირება და ტექნოლოგია“.

მომდევნო ეტაპზე ახალი საბაკალავრო პროგრამა „მოდის დიზაინი და ტექნოლოგია“ ჩამოყალიბდა იმ გამოცდილების გათვალისწინებით, რომელიც დაგროვდა მოქმედ მაინორ პროგრამებზე დაკვირვების, სწავლა/სწავლებისა და შეფასების სისტემების ანალიზის, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მუშაობაზე დაკვირვების, მაინორ პროგრამების სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვების შედეგებზე დაყრდნობით.

„მოდის დიზაინისა და ტექნოლოგიის,, საბაკალავრო პროგრამა, რომლის აკრედიტაციის დასკვნა ჩვენს მიერ (ექსპერტთა ჯგუფის წევრები - ნანა იაშვილი, ნია ნათბილაძე) წარდგენილ იქნა 2019 წლის 4 თებერვალს, მიზნად ისახავდა ისეთი პროფესიონალი სპეციალისტის აღზარდას, რომელიც თანამედროვე მოდის დიზაინის სფეროში შესაბამისი ნიმუშების დიზაინის შექმნისა და კონსტრუქტორულ-ტექნოლოგიური პროცესების წარმართვისათვის მომზადდებოდა სხვადასხვა კვალიფიკაციით.

პროგრამაში გაერთიანებული იყო საქმიანობის ორი სფეროს მიხედვით მსგავსი სპეციალიზაცია: სამრეწველო ნაწარმის (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ტყავსაგალანტერეო ნაწარმი) მოდის დიზაინისა და მათი დამზადების ტექნოლოგიური პროცესების შემსწავლელი მიმართულებები – ხელოვნება და ინჟინერია, შესაბამისად, პროგრამა ითვალისწინებდა სპეციალიზაციების მიხედვით ორი კვალიფიკაციის მინიჭებას: 1. დიზაინის ბაკალავრი-0803. 2. სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის ბაკალავრი - 0409.

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მოდის დიზაინისა და ტექნოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამა დღეისათვის წარმოდგენილია პროგრამის ხელმძღვანელის მერაბ დათუაშვილის (ასოცირებული პროფესორი, აკადემიური დოქტორი) მიერ - აკრედიტირებულია აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (გადაწყვეტილება №19; 26.03.2019; აკრ. ვადა 26.03.2023) მოდიფიცირებულია, პროგრამა განხილული და დამტკიცებულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (ოქმი #17. 15.07.2020)

წელი. ახალი რედაქციით, პროგრამის მიზანია სპეციალისტთა მომზადება პირადი მოხმარების ნაკეთობათა (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ტყავსაგალანტერეო ნაწარმი) - ინჟინერის ბაკალავრის კვალიფიკაციით.

პროგრამის შემუშავების, მისი სტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესში მონაწილეობა მიიღეს დარგის სპეციალისტებმა, რომლებიც დასაქმებული არიან ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების წარმოების სფეროში მოდელიორ-დიზაინერებად, კონსტრუქტორებად და ტექნოლოგებად, ეწევიან ინდივიდუალურ სამეწარმეო საქმიანობას, ან თანამშრომლობენ მცირე საწარმოებთან და საამქროებთან. პროგრამის შექმნის დროს გათვალისწინებული იქნა წამყვანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მხრიდან გამოთქმული რეკომენდაციები ამდენად, პროგრამა ემსახურება რეგიონში აღნიშნული დარგის განვითარებას.

პროგრამის მიზანია, კურსის დასრულების შემდეგ სპეციალისტმა შეძლოს წარმატებით იმუშაოს ტანსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა საწარმოებში და ფირმებში კონსტრუქტორ-ტექნოლოგად - მაღალესთეტიკური, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, მაღალი სამომხმარებლო თვისებების მქონე, ადგილობრივ და საზღვარგარეთულ ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის შესაქმნელად. ასევე, შეუძლია სწავლა განაგრძოს მაგისტრატურაში შესაბამისი ან მონათესავე მიმართულებით.

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტს მისცეს ცოდნა:

- ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ტყავსაგალანტერეო ნაკეთობათა მხატვრული და ტექნიკური მოდელირების შესახებ;
- სამკერვალო და ტყავის ნაკეთობათა დამზადებისათვის გამოყენებული მასალების კლასიფიკაციისა და მახასიათებლების შესახებ;
- ლაბორატორიულ და საწარმოო პირობებში ნაკეთობის დამზადების ტექნოლოგიური ნორმატივებისა და რეჟიმების შესახებ;
- გამოყენებულ მანქანა-მოწყობილობებთან უსაფრთხოების წესების დაცვით მუშაობის, გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის უნარ-ჩვევების გამომუშავების შესახებ;
- ინდივიდუალურ და მცირე საწარმოში ნაკეთობათა სამომხმარებლო ხარისხის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად კონსტრუქტორულ-ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმალურად წარმართვის საფუძვლების შესახებ.

პროგრამის მიზნები შეესაბამება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას: მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება უმაღლესი განათლების

თითოეულ საფეხურზე. უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმების შესაბამისად პროგრამა ხელს უწყობს რეგიონში მნიშვნელოვანი ადგილის დაკავებას აღნიშნულ დარგებში.

### **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში 2020 წლის 3 დეკემბრის №1152881 წარმოდგენილი წერილით, „მოდის დიზაინის და ტექნოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფს დაგვევალა შევადგინოთ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი: ბრძანება N 680302 - 06/07/2021 - არაგემიური მონიტორინგის განხორციელების პირობებით.

ვიზიტი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არ განხორციელებულა. შემოწმებისას, მოთხოვნის თანახმად, ძირითადი ყურადღება გავამახვილეთ აკრედიტაციის პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტზე, თუმცა არ ვიყავით შეზღუდული სხვა დამატებითი გარემოებების გამოვლენისა და დასკვნებისაგან.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შეთანხმებით, გადაწყდა დისტანციური თანამშრომლობის ფორმატი. ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის გაცნობის შემდგომ, 19 და 20 ივლისს შედგა Zoom-პლატფორმის გამოყენებით ვიდეოკონფერენციები, სადაც მიმდინარეობდა პროგრამის კვალიფიკაციის, ცვლილებების, აკადემიური პერსონალის და სხვა საკითხების განხილვა. კერძოდ: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მოდის დიზაინის და ტექნოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა;

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსების;

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის; CV-ების, რომელშიც მითითებულია ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი/ შესაბამისი აქტივობები, რითაც დასტურდება პერსონალის დარგობრივი კომპეტენციები.

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი საგნის/საგნების მითითებით.

### **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, „მოდის დიზაინის და ტექნოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.

ზოგადად პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციის შესაბამის სტანდარტებს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

კერძოდ: ექსპერტთა გადაწყვეტილებით და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ პირველი სტანდარტის 1.1 კომპონენტი შესაბამისია მოთხოვნებთან და 1.2 კომპონენტი მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან, ამდენად -

**პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

**მეორე სტანდარტი ასევე შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან აღნიშნული სტანდარტის**

**2.1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 2.2 მეტწილად შესაბამისობაშია 2.3 შესაბამისობაშია**

**მოთხოვნებთან, 2.4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 2.5 შესაბამისობაშია და 2.6**

**კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

**მე-3 კომპონენტი არ შეფასდა**

**მე-4 სტანდარტი ასევე შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან 4.1 შესაბამისობაშია**

**მოთხოვნებთან, 4.2 მეტწილად შესაბამისობაშია 4.3 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 4.4**

**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

**მე-5 კომპონენტი არ შეფასდა**

### **რეკომენდაციები:**

- რეკომენდირებულია, შედეგებში აისახოს მოწყობილობებთან მუშაობისას უსაფრთხოების წესების დაცვით საკითხები.
- რეკომენდირებულია, შეიცვალოს დაშვების წინაპირობად „ფიზიკა“ სასწავლო კურსში „ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის წარმოების მანქანები და აპარატები“, რადგან იგი არჩევით ჯგუფშია.
- რეკომენდირებულია, სასწავლო კურსი „შრომის დაცვა“ არჩევით სასწავლო კურსებიდან გადატანილ იყოს ძირითადი სწავლების საგანთა ჩამონათვალში;

- რეკომენდირებულია, სასწავლო კურსის „გამოყენებითი მექანიკის“ დაშვების წინაპირობა „საინჟინრო გრაფიკა“ შეიცვალოს, რადგან ეს უკანასკნელი არჩევით საგანთა ჯგუფშია.
- რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს პერსონალის განვითარების სტრუქტურა, ინტერნაციონალიზაციის, პესონალის ინდივიდუალური საჭიროებების-დარგობრივი ტრენინგები, უცხო ენის კურსები და სხვა, პროგრამის საერთაშორისო განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- ექსპერტთა რჩევით, სასურველია მისანიჭებელი კვალიფიკაცია ყოველთვის ზუსტად იქნას მითითებული 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისად, ამ შემთხვევაში **ინჟინერიის ბაკალავრი ტექნოლოგიაში, ტექსტილის ტექნოლოგია.**
- სასურველია შემუშავდეს ახალი სასწავლო კურსი პირობითად, **„თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიები“**, რომელიც გააცნობს სტუდენტებს მათთვის აუცილებელ ციფრულ, კომპიუტერულ უახლეს პროგრამებს და განუვითარებს მათ ამ პროგრამებით სარგებლობის პროფესიისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს, მაგალითად **შემოქმედებითი ინდუსტრიისათვის.**
- სასურველია, გაცვლითი პრაქტიკის ტრადიციის დანერგვა ევროპის შესაბამისი პროფილის უნივერსიტეტებთან, რაც საშუალებას მისცემს პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ახლოს გაეცნონ უცხოური ანალოგიური პროგრამების საერთაშორისო გამოცდილებას.

### **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

-----

**ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ძირითადი და მნიშვნელოვანი ცვლილება, რამაც გამოიწვია მეორე და მეოთხე სტანდარტის შედეგები (შესაბამისობაშია მოთხოვნებთან), საბაკალავრო პროგრამის კვალიფიკაცია-



ინჟინერიის ბაკალავრი ტექსტილის ტექნოლოგია /საინჟინრო ტექნოლოგიაში; დეტალური სფერო: 0723 ტექსტილი (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ტყავი).

წინა ვერსიით, პროგრამა “მოდის დიზაინი და ტექნოლოგია”- დიზაინის ბაკალავრის (0803) და სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის ბაკალავრის (0409) კვალიფიკაციას ანიჭებდა სტუდენტს, შესაბამისად, ძირითადი დასკვნები გამოწვეული იყო პროგრამის კრეატიული, სახელოვნებო-შემოქმედებითი მოთხოვნებით, მაგალითად:

- პროგრამის სპეციფიკა დიდწილად მისი სახელოვნებო პროფილითაა განპირობებული. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს მინიმალური სახელოვნებო-შემოქმედებითი უნარების შემოწმება გამოცდის ან პორტფოლიოს წარდგენის ფორმატში.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მიმდინარე პროგრამის მიზანია სპეციალისტთა მომზადება თანამედროვე მოდის შესაბამისი (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ტყავსაგალანტერეო ნაწარმი) ნიმუშების დიზაინის შექმნისა და კონსტრუქტორულ-ტექნოლოგიური პროცესის წარმართვისათვის კვალიფიკაციით - ინჟინერიის ბაკალავრი ტექნოლოგიაში, ტექსტილის ტექნოლოგია /საინჟინრო ტექნოლოგიაში დეტალური სფერო: 0723 ტექსტილი (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ტყავი). ავტორთა რედაქციით, პროგრამაში მიზნების განსაზღვრისას ჩანაწერია “კვალიფიკაციით - საინჟინრო ტექნოლოგიის ბაკალავრი”. ექსპერტთა რჩევით,

სასურველია მისანიჭებელი კვალიფიკაცია ყოველთვის ზუსტად იქნას მითითებული 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისად, ამ შემთხვევაში ინჟინერიის ბაკალავრი ტექნოლოგიაში, ტექსტილის ტექნოლოგია.

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტს მისცეს ცოდნა:

- ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ტყავსაგალანტერეო ნაკეთობათა მხატვრული და ტექნიკური მოდელირების შესახებ;
- სამკერვალო და ტყავის ნაკეთობათა დამზადებისათვის გამოყენებული მასალების კლასიფიკაციისა და მახასიათებლების შესახებ;
- ლაბორატორიულ და საწარმოო პირობებში ნაკეთობის დამზადების ტექნოლოგიური ნორმატივებისა და რეჟიმების შესახებ;
- გამოყენებულ მანქანა-მოწყობილობებთან უსაფრთხოების წესების დაცვით მუშაობის, გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის უნარ-ჩვევების გამომუშავების შესახებ;
- ინდივიდუალურ და მცირე საწარმოში ნაკეთობათა სამომხმარებლო ხარისხის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად კონსტრუქტორულ-ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმალურად წარმართვის საფუძვლების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, პროგრამის მიზნები არის მიღწევადი აღნიშნული პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით, რომ კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა აქვთ დასაქმდნენ როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში ტანსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა საწარმოებში და ფირმებში კონსტრუქტორ-ტექნოლოგად; ასევე, შეუძლიათ სწავლა განაგრძონ მაგისტრატურაში შესაბამისი ან მონათესავე მიმართულებით. პროგრამა უზრუნველყოფს როგორც თეორიული ცოდნის შეძენას, ასევე, პრაქტიკული უნარების გამომუშავებას აღნიშნული პროდუქციის მხატვრული და ტექნოლოგიური მოდელირების მიმართულებით.

პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას: მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება უმაღლესი განათლების თითოეულ საფეხურზე. უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმების შესაბამისად პროგრამა ხელს უწყობს რეგიონში მნიშვნელოვანი ადგილის დაკავებას აღნიშნულ დარგებში.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

საბაკალავრო პროგრამა

უსდ მისია

<p>უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა უსდ-ს ვებ.გვერდი</p>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის :</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ექსპერტთა რჩევით, სასურველია მისანიჭებელი კვალიფიკაცია ყოველთვის ზუსტად იქნას მითითებული 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისად, ამ შემთხვევაში <b>ინჟინერიის ბაკალავრი ტექნოლოგიაში, ტექსტილის ტექნოლოგია.</b></li> </ul>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</b></p>
<p>პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;</p> <p>პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;</p> <p>შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>“მოდის დიზაინისა და ტექნოლოგიის“ პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის სწავლის შედეგების აღმწერის მიხედვით და შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან; კერძოდ, პროგრამა ორიენტირებულია ინჟინერიის ბაკალავრი ტექნოლოგიაში /ტექსტილის ტექნოლოგია, კვალიფიკაციის მინიჭებაზე. პროგრამის სტრუქტურა აგებულია პრინციპით,</p>

რომელიც ითვალისწინებს სწავლის შედეგებზე გასვლისათვის საჭირო დისციპლინებს, შესაბამისი მოცულობის კრედიტებით. კერძოდ:

თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსები (23 კრედიტი);

თავისუფალი კომპონენტის არჩევითი კურსები (8 კრედიტი);

ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო კურსები (134 კრედიტი); ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი კურსები (15 კრედიტი); დამატებითი (minor) პროგრამა – 60 კრედიტი.

იმისათვის რომ, პროგრამის სტრუქტურა და სწავლის შედეგები სრულად შეესაბამებოდეს კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, საჭიროა:

- **პროგრამის მიზნებში გაწერილი - პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტს მისცეს ცოდნა: გამოყენებულ მანქანა-მოწყობილობებთან უსაფრთხოების წესების დაცვით მუშაობის შესახებ- აისახოს შედეგებშიც.**

სპეციალობის მოდულები სტუდენტს უვითარებს პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელ როგორც ზოგად, ასევე, დარგობრივ კომპეტენციებს.

მოდის დიზაინისა და ტყავისა და ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგიის თანმიმდევრული განათლების სტრატეგია უზრუნველყოფს სტუდენტთა პროფესიული ცნობიერების ფორმირებას, თანამედროვე პროფესიული კატეგორიებით აზროვნების უნარის გამომუშავებას, რაც ხელს შეუწყობს კვალიფიციური სპეციალისტების აღზრდას ბაკალავრისათვის დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.

სწავლის შედეგები და კომპეტენციები მიმართული ზოგადი და დარგობრივი ცოდნისა და უნარების, ასევე სწავლების მეთოდების გათვალისწინებასა და აღწერს ტყავისა და სამკერვალო ნაკეთობათა წარმოების სფეროს თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს; აფასებს ლაბორატორიულ და საწარმოო პირობებში სამკერვალო და ტყავის ნაკეთობათა დამზადების ეტაპებს;

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება როგორც პროგრამის ხელმძღვანელის, ისე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ. შემუშავებულია კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან თანამშრომლობის პოლიტიკა. ორივე პოლიტიკის ძირითადი მიზანია პროგრამის სწავლის შედეგების შესწავლა და შეფასება, პროგრამის ორიენტირება შრომის ბაზრის მოთხოვნებზე. აქედან გამომდინარე, პროგრამა მუდმივად(ამას ადასტურები მისი განვითარების ისტორია) ითვალისწინებს ყოველ ახალ მოთხოვნას და შესაბამისი ცვლილებების განხორციელების გზით სათანადოდ ადაპტირდება შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების კვალდაკვალ.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს

სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს და იყენებს მათ პრაქტიკაში.  
ამდენად, ზემოთქმული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გათვალისწინებით კომპონენტები **მეტწილად შეესაბამება** პროგრამის მიზანს, რეალისტური და მიღწევადია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო პროგრამა;
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- უსდ-ს ვებ.გვერდი

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდირებულია, შედეგებში აისახოს მოწყობილობებთან მუშაობისას უსაფრთხოების წესების დაცვით საკითხები.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input checked="" type="checkbox"/>			
---	-------------------------------------	--	--	--

სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<b>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</b>
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი  საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის დიზაინი და ტექნოლოგია“ შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ აღნიშნული პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს: სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები; ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია: ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის სტუდენტი ი გარე ან შიდა მობილობის გზით.

აღნიშნული სრულ შესაბამისობაშია სახელმწიფოს მიერ დადგენილ მოთხოვნებთან, ბაკალავრიატის დონის შესაბამისია, გამჭვირვალე და სამართლიანია.

დაინტერესებულ პირებს ინფორმაციის გაცნობა შეუძლიათ როგორც NAEC-ის მიერ ყოველწლიურად განახლებად საინფორმაციო ცნობარში, ასევე უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული და ფაკულტეტის მიერ სოციალური ქსელისა და სხვა საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით გავრცელებული ინფორმაციით.

ექსპერტთა აზრით, უსდ-ს განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

საბაკალავრო პროგრამა „მოდის დიზაინი და ტექნოლოგია“  
ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება მისაღები კონტიგენტისა და მობილობით მისაღები სტუდენტების ადგილების განსაზღვრის შესახებ;  
დადგენილება №94(17/18) სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმების წესის დამტკიცების შესახებ აწსუ № 12(17/18) დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

**რეკომენდაციები:**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„მოდის დიზაინი და ტექნოლოგია“ საბაკალავრო პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება სწავლების საფეხურს და ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს.

პროგრამის სტრუქტურა აგებულია პრინციპით, რომელიც ითვალისწინებს სწავლის შედეგებზე გასვლისათვის საჭირო დისციპლინებს, შესაბამისი მოცულობის კრედიტებით.

კერძოდ:

თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსები (23 კრედიტი);

თავისუფალი კომპონენტის არჩევითი კურსები (8 კრედიტი);

ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო კურსები (134 კრედიტი);

ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი კურსები (15 კრედიტი);

დამატებითი (minor) პროგრამა – 60 კრედიტი.

პროგრამის მისანიჭებელი ხარისხია: ინჟინერიის ბაკალავრი ტექსტილის ტექნოლოგია /საინჟინრო ტექნოლოგიაში

დეტალური სფერო: 0723 ტექსტილი (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ტყავი)

პროგრამის შინაარსი შეესაბამება საბაკალავრო საფეხურისთვის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას. საზოგადოდ, პროგრამა აგებულია იმგვარად, რომ ვითარდება მარტივიდან კომპლექსურისკენ. გაცნობითი ხასიათისა და საბაზისო კურსებს მოსდევს დარგის შესაბამისი სასწავლო კურსები. აღნიშნული ლოგიკური ჯაჭვი



გათვალისწინებულია სასწავლო კურსების დასვების წინაპირობებში რამოდენიმე გამონაკლისის გარდა. კერძოდ:

- სასწავლო კურსის „ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის წარმოების მანქანები და აპარატები“ წინაპირობად განსაზღვრულია „ფიზიკა“, რომელიც შესასწავლი თემატიკებიდან გამომდინარე, არ ესადაგება დისციპლინას, თან სასწავლო კურსი „ფიზიკა“ არჩევით ჯგუფშია და ამ მიზეზითაც არ შეიძლება დარჩეს, აღნიშნული საგნის წინაპირობად.
- სასწავლო კურსი „შრომის დაცვა“ არჩევით სასწავლო კურსებიდან უნდა გადატანილ იყოს ძირითადი სწავლების ჩამონათვალში, რადგან „გამოყენებულ მანქანა-მოწყობილობებთან უსაფრთხოების წესების დაცვით უნარ-ჩვევების გამომუშავება“ პროგრამის მიზანშია მოცემული, თუმცა შედეგებში არაა გაწერილი და ესეც აუცილებელია, ტექნოლოგიური პროცესების, შესაბამისი მანქანა-დანადგარების შესაბამისი სამუშაოების წარმართვისათვის და სასწავლო პრაქტიკის უზრუნველყოფისათვის.
- დაზუსტდეს დაშვების წინაპირობები სასწავლო კურსებისა, რომელთაც არჩევითი საგნების ჩამონათვალიდან აქვს განსაზღვრული სასწავლო კომპონენტი, კერძოდ „გამოყენებითი მექანიკის“ წინაპირობაა დისციპლინა „საინჟინრო გრაფიკა“, რაც დაუშვებელია, რადგან იგი არჩევით საგანთა ჯგუფშია.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამა ასახავს დარგის თანამედროვე მიღწევებს. პროგრამის შინაარსში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება, ვინაიდან სილაბუსებში ასახულია ის საკითხები, რომლითაც პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნა კურსდამთავრებულს შეუძლია გამოიყენოს როგორც ქვეყანაში, ისე ქვეყნის გარეთ შესაბამის სფეროში დასაქმების შემთხვევაში. პროგრამა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. ინფორმაცია განთავსებულია ვებგვერდზე, დაინტერესებული პირებისათვის ხდება კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით ინფორმაციის გავრცელება, ღია კარის დღეების ორგანიზება, სკოლებში პროგრამების შესახებ ინფორმაციების გავრცელება და სხვ.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

საბაკალავრო პროგრამა „მოდის დიზაინი და ტექნოლოგია“;

სასწავლო კურსების სილაბუსები;

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, დადგენილება 49(17/18), 9 თებერვალი, 2018 წ;
<b>რეკომენდაციები:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• რეკომენდირებულია, შეიცვალოს დაშვების წინაპირობად „ფიზიკა“ სასწავლო კურსში „ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის წარმოების მანქანები და აპარატები“, რადგან იგი არჩევით ჯგუფშია.</li> <li>• რეკომენდირებულია, სასწავლო კურსი „შრომის დაცვა“ არჩევით სასწავლო კურსებიდან გადატანილ იყოს ძირითადი სწავლების საგანთა ჩამონათვალში;</li> <li>• რეკომენდირებულია, სასწავლო კურსის „გამოყენებითი მექანიკის“ დაშვების წინაპირობა „საინჟინრო გრაფიკა“ შეიცვალოს, რადგან ეს უკანასკნელი არჩევით საგანთა ჯგუფშია.</li> </ul>
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
<b>შეფასება</b> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<b>2.3. სასწავლო კურსი</b>
<p>ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;</p> <p>სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.</p>

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს.

პროგრამის სწავლის შედეგების უკეთ უზრუნველსაყოფად, ასევე კურსის სტუდიური მეცადინეობების კრეატიულ-ექსპერიმენტული და იდეის კონცეპტუალურ- მხატვრული გააზრებისათვის, სასურველია შემუშავდეს ახალი სასწავლო კურსი პირობითად, „თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიები“, რომელიც გააცნობს სტუდენტებს მათთვის აუცილებელ ციფრულ, კომპიუტერულ პროგრამებს და განუვითარებს მათ ამ პროგრამებით სარგებლობის პროფესიისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს, მაგალითად შემოქმედებით ინდუსტრიაში. ეს თანამედროვე მეწარმეობის მნიშვნელოვანი თრენდია, რაც გაზრდის სწავლის შედეგებს და რასაც ითვალისწინებს პროგრამის მიზანი და შედეგები.

სასწავლო კურსებში გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები პროპორციულადაა გადანაწილებული. სალექციო და პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებს შორის თანაფარდობა პასუხობს სასწავლო კურსის სპეციფიკას. მათემატიკურ, საბუნებისმეტყველო და ზოგად საინჟინრო საგნების შემთხვევაში პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობებისათვის გამოყოფილია ორჯერ მეტი საათები სალექციო საათებთან შედარებით. სპეცილობის საგნების შემთხვევაში კი საშუალოდ დაცულია თანასწორი თანაფარდობა ან პრაქტიკული მეცადინეობების საათები ორჯერ აღემატება სალექციოს.

სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება. შეფასება წარმოებს მიმდინარე შეფასების, შუალედური და დასკვნითი გამოცდის კომპონენტებით, რომელთა შორის თანაფარდობა არის 30%, 30%, 40%. სასწავლო კურსის ყველა სილაბუსში ასახულია სწავლის შედეგები და შეფასების რუბრიკები. პრიორიტეტულად გამოიყენება ტესტური, აქტივობის, ზეპირი გამოკითხვის, პრაქტიკული დავალების შესრულების რუბრიკები.

სწავლება-სწავლის მეთოდები შერჩეულია სასწავლო კურსის სპეციფიკის შესაბამისად. საბუნებისმეტყველო და ზოგად-საინჟინრო სასწავლო კურსებზე აქცენტი გაკეთებულია ახსნა-განმარტებით, ლაბორატორიულ, პრაქტიკულ, საშინაო დავალების მომზადების

მეთოდებზე. სპეციალობის ხასიათის შესაბამის სასწავლო კურსებზე კი გამოიყენება დემონსტრირების, პრაქტიკული მუშაობის, საშინაო დავალებების მომზადების, პროექტების შემუშავების და სხვა მეთოდები. სილაბუსებში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და დარგის აქტუალურ მიღწევებს. მითითებული ლიტერატურა ძირითადად ახალი გამოცემებისაა, თუმცა სასწავლო კურსებისათვის „ფეხსაცმლის კომპოზიციის შესრულება მასალაში“, „სამკერვალო ნაკეთობათა კონსტრუირება“ და „ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის წარმოების მანქანები და აპარატები“- სასურველია უპირატესობა მიენიჭოს უახლეს გამოცემებს. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები პასუხობენ პროგრამის სწავლის შედეგებს და შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს. სასწავლო კურსების შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის დიზაინი და ტექნოლოგია“;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ბიბლიოთეკის რესურსები;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია შემუშავდეს ახალი სასწავლო კურსი პირობითად, „თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიები“, რომელიც გააცნობს სტუდენტებს მათთვის აუცილებელ ციფრულ, კომპიუტერულ უახლეს პროგრამებს და განუვითარებს მათ ამ პროგრამებით სარგებლობის პროფესიისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს, მაგალითად შემოქმედებითი ინდუსტრიისათვის.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და**

**ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს კვლევით და შემოქმედებით კომპონენტს, რომელიც სასწავლო კურსებში „ფეხსაცმლის კომპოზიციის შესრულება მასალაში“ და „ტანსაცმლის კომპოზიციის შესრულება მასალაში“ თავისი შინაარსით ეს კომპონენტები პროგრამის დამასრულებელი ნაშრომია, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის პრაქტიკული კვლევითი და შემოქმედებითი უნარების განვითარებას და მათი პროგრესის დემონსტრირებას.

საბაკალავრო პროგრამა გარდა დარგისთვის საჭირო თეორიული ცოდნისა, ორიენტირებულია პრაქტიკული/კვლევითი უნარების განვითარებაზე.

აღნიშნული პრაქტიკული უნარების განვითარება გათვალისწინებულია ცალკეულ კურსებში კონკრეტული პრაქტიკული ხასიათის პროექტების/დავალებების შესრულებით. დაწესებულებამ წარმოადგინა ლაბორატორიები, სადაც სტუდენტი წარმატებით დაეუფლება შესაბამის სასწავლო დისციპლინათ გათვალისწინებულ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

ამავე დროს პროგრამა ითვალისწინებს სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას, რომელთა განხორციელებას გეგმავენ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით გათვალისწინებულ საწარმოებში.

პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, ასევე ინტერაციონალიზაციის მიზნებისთვის, სასურველია, გაცვლითი პრაქტიკის ტრადიციის დანერგვა ევროპის შესაბამისი პროფილის უნივერსიტეტებთან, რაც საშუალებას მისცემს პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ახლოს გაეცნონ უცხოური ანალოგიური პროგრამების საერთაშორისო გამოცდილებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

საბაკალავრო პროგრამა;

სასწავლო კურსების სილაბუსები;

მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან (საწარმოო პრაქტიკის ობიექტებთან)

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების თაობაზე;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, გაცვლითი პრაქტიკის ტრადიციის დანერგვა ევროპის შესაბამისი პროფილის უნივერსიტეტებთან, რაც საშუალებას მისცემს პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ახლოს გაეცნონ უცხოური ანალოგიური პროგრამების საერთაშორისო გამოცდილებას.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები**

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, პრაქტიკული მეთოდი, ინდივიდუალური დაჯგუფური მუშაობის მეთოდი, ანალიზი და სხვ. გამოყენებულია ასევე საშინაო დავალებები, პორტფოლიოს შედგენა, მოხსენების მომზადება კონფერენციაზე ან პრეზენტაციაზე წარსადგენად. უნივერსიტეტში, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ან საწარმოების ბაზაზე განხორციელებული პრაქტიკის დროს აქტიურად გამოიყენება ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოს ჩატარების მეთოდი. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ აღნიშნული მეთოდები აპრობირებულია ამ მიმართულების პროგრამების განხორციელების პროცესში, თუმცა ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსებში მეთოდოლოგიური ნაწილი გარკვეულწილად განზოგადებულია, რაც ჩვენი აზრით უნდა ადაპტირდეს კონკრეტული დისციპლინის შინაარსთან და სპეციფიკასთან.

სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, აგრეთვე საგანმანათლებლო პროცესში

მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტში გამოიყენება ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან, რის შესახებაც სტუდენტები ინფორმირებულნი არიან სილაბუსით
<b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b> საბაკალავრო პროგრამა; სასწავლო კურსის სილაბუსები
<b>რეკომენდაციები:</b>
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
<b>შეფასება</b> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<b>2.6. სტუდენტების შეფასება</b>
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამაში შემავალ ყველა კომპონენტში განსაზღვრულია შეფასების სისტემა. სტუდენტს სემესტრის დაწყებისთანავე აქვს შესაძლებლობა გაეცნოს სასწავლო კურსის სილაბუსს და იცოდეს შეფასების ძირითადი კომპონენტები და კრიტერიუმები. სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის საშუალებით პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს სათანადო ცოდნას შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით. ეს ხელს უწყობს სტუდენტის ცოდნისა და უნარების გაზომვას და ამ გზით სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსი მინიმუმ სამი კომპონენტით ფასდება (შუალედური შეფასებები და ერთი დასკვნითი შეფასება). შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური</p>

კომპეტენციების ზღვარი.
<b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b> აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის დადგენილება №5(17/18) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ; საბაკალავრო პროგრამა; სასწავლო კურსის სილაბუსები; <a href="http://www.atsu.edu.ge">www.atsu.edu.ge</a>
<b>რეკომენდაციები:</b>
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
<b>შეფასება</b> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების	<input checked="" type="checkbox"/>			



ადეკვატურობა				
--------------	--	--	--	--

### სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

<b>3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება</b>
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი არ შეფასდა
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება არ შეფასდა

<b>3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა</b>
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი არ შეფასდა
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შემთხვევაში)
შეფასება არ შეფასდა

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	არ შეფასდა			

სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

<p><b>4.1 ადამიანური რესურსი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;</li> <li>➤ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/სამემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;</li> <li>➤ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი</li> </ul>
---

- ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის “დიზაინისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტი” მდიდარი ტრადიციების მქონე დეპარტამენტია, სადაც ხორციელდება სტუდენტთა მომზადება პროფესიულ, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე.

„დიზაინისა და ტექნოლოგიის“ დეპარტამენტს ემსახურება:

5 პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი, 1 ემერიტუსი, 2 მასწავლებელი, 5 ხელშეკრულების პედაგოგი, 4 ლაბორანტი.

დეპარტამენტის თანამშრომლები აქტიურად არიან ჩაბმული სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში, მოპოვებული აქვთ საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო გრანტები, აქტიურ მონაწილეობას იღებენ ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში, კონფერენციებში, გამოფენებში.

პროგრამა ხორციელდება მაპროფილებელი დეპარტამენტების ბაზაზე და მას დამატებით ემსახურება ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეპარტამენტები და ენათა ცენტრი.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის დაცულია გონივრული ბალანსი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, თანაფარდობა და მათი დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის ჯეროვნად წარმართვას.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია და სამეცნიერო აქტივობა დასტურდება მათ მიერ საერთაშორისო და ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების და კონფერენციებში მონაწილეობის მაჩვენებლებით.

პროგრამის ხელმძღვანელები აქტიურად არიან ჩართული უშუალოდ პროგრამის განხორციელებაში.

სასწავლო რესურსებით სტუდენტთა უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტის პოლიტიკაა, რომ თითოეულმა პედაგოგმა შეიმუშაოს ქართულენოვანი სასწავლო მასალა,

რაც, უდაოდ ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამას ემსახურება მაღალი კვალიფიკაციის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი - დეკანატის, დეპარტამენტის, ბიბლიოთეკის, ლაბორატორიის, კომპიუტერული ცენტრის თანამშრომლები.

საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება უნივერსიტეტის მართვის ორგანოების ხელშეწყობითა და ხარისხის მართვის სამსახურის პერიოდული მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით.

ამდენად, პროგრამის ადამიანური რესურსი სავსებით შეესაბამება სტანდარტს.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები;  
[www.atsu.edu.ge](http://www.atsu.edu.ge)

#### რეკომენდაციები:

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

#### საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

#### მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

#### შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

#### 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში რეგულარულად მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და სასწავლო პროცესის შედეგების მონიტორინგი, შესაბამისი ანალიზის შედეგად ხორციელდება სასწავლო პროცესის სრულყოფისა და პროგრამული განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

მონიტორინგის ერთ-ერთი მექანიზმია უნივერსიტეტში დანერგილი ურთიერთდასწრების პრაქტიკა, სწავლების პროცესის ეფექტურობის შეფასებისა და სწავლა/სწავლების პროცესის წარმართვის გამოცდილების გაზიარების მიზნით. ამავ მიზნით სისტემატურად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა. სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის შეფასება ხდება მათი ყოველწლიური ანგარიშების მეშვეობით. ამგვარი შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისა და სასწავლო პროცესის სრულყოფისათვის.

პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით უნივერსიტეტში პერიოდულად ტარდება ტრენინგები, სემინარები, ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა სახის აქტივობები. სამეცნიერო/კვლევითი, შემოქმედებითი საქმიანობა ხშირად ფინანსურადაა მხარდაჭერილი უნივერსიტეტის მხრიდან. შექმნილი აკადემიური გარემოს დადასტურებად შესაძლებელია მივიჩნიოთ პერსონალის სამეცნიერო წარმოდგენილ კვლევით პროფილში შეფასებულია ფაკულტეტზე ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობა, დასახულია სამომავლო პერსპექტივები და გაუმჯობესების გზები.

ფაკულტეტზე 2006 წლიდან სულ განხორციელებულია 30-მდე სამეცნიერო კვლევითი პროექტი, საერთო დაფინანსებით 3 585 300 ლარი. მათ შორის: 3 - საერთაშორისო კვლევითი პროექტი; 23 - ეროვნული ფონდების მიერ დაფინანსებული პროექტი; 3 - შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტი. მიმდინარე პროექტების რაოდენობა - 6. მათ შორის: 2 - საერთაშორისო კვლევითი პროექტი; 4 - ეროვნული ფონდების მიერ დაფინანსებული პროექტი. 2006 წლიდან ფაკულტეტის თანამშრომლების მიერ სამეცნიერო ფონდებში საკონკურსოდ წარდგენილია პროექტების დიდი რაოდენობა. მაგ. რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში 2017 წლის ფუნდემენტურ კვლევებზე წარდგენილია 18 საგრანტო პროექტი, 2016 წელს - 20 საგრანტო პროექტი, 2014 წელი - 34 პროექტი, 2013 წელი - 20 პროექტი (წლების მიხედვით წარდგენილი პროექტების დინამიკა იხ. დანართში 1). ფაკულტეტის თანამშრომლების მიერ სამეცნიერო ფონდებში საკონკურსოდ წარდგენილი პროექტების დიდი უმრავლესობა (70-80 %) მაღალ შეფასებებს იმსახურებს. ასევე მაღალია

აწსუ-ს მასშტაბით გამარჯვებული პროექტების საერთო რაოდენობაში ფაკულტეტის პროექტების წილი. მაგ. 2006 წელს 3-დან 2 პროექტი საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე დაფინანსდა, 2007 წელს 5-დან 4, 2012 წელს 3-დან 2, 2013 წელს 3-დან 1, 2014 წელი 5 პროექტიდან - 3 პროექტი საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე დაფინანსდა, 2015 წელს 5-დან 3, 2016 წელს კი 6 პროექტიდან - 3 .

რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს პერსონალის განვითარების საკითხი, ინტერნაციონალიზაციის პროცესებთან დაკავშირებული აქტივობების დაგეგმვის დროს გათვალისწინებულ იქნას პესონალის ინდივიდუალური საჭიროებები ( დარგობრივი ტრენინგები, უცხო ენის კურსები და სხვა), რაც ხელს შეუწყობს პროგრამის საერთაშორისო განვითარებას. რადგან, ამ გამოცდილების აკადემიურ,სამეცნიერო და კვლევით პერსონალს, უსდ-მ ხელი შეუწყოს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- სამეცნიერო გრანტების და სამეცნიერო მივლინებების დოკუმენტაცია;
- უსდ-ს ვებ.გვერდი;

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს პერსონალის განვითარების სტრუქტურა, ინტერნაციონალიზაციის, პესონალის ინდივიდუალური საჭიროებების-დარგობრივი ტრენინგები, უცხო ენის კურსები და სხვა, პროგრამის საერთაშორისო განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის ორი კორპუსის ბაზაზე, რომლებშიც განთავსებულია აუდიტორიები, ლაბორატორიები, პრაქტიკული მეცადინეობებისათვის განკუთვნილი ოთახები.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლიდან ფუნქციონირებს უნივერსიტეტის ახალი საბიბლიოთეკო სივრცე, სადაც თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად არის მოწყობილი ინფრასტრუქტურა და გაუმჯობესებული ტექნიკური აღჭურვილობა: სამუშაო, საგამოფენო და საპრეზენტაციო სივრცეები და ა.შ. შექმნილია ყველა პირობა სტუდენტებისა და პერსონალისთვის, იმ მიზნით რომ კიდევ უფრო გაუმჯობესდეს სწავლების ხარისხი, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

„მოდის დიზაინისა და ტექნოლოგიის“ პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და ძირითადად შეესაბამება დარგის თანამედროვე მიღწევებს. პროგრამის ყველა კურსი აღჭურვილია ქართულენოვანი სასწავლო მასალით, რომელიც კურსის პედაგოგების მიერაა შემუშავებული. სახელმძღვანელოები წარმოდგენილია ბიბლიოთეკის ფონდის საცავში, ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია სტუდენტისათვის, როგორც უნივერსიტეტში, ასევე ონლაინ რეჟიმში პედაგოგთან უშუალო კონტაქტის მეშვეობით. დეპარტამენტის მატერიალური ბაზა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული 8 სამეცნიერო საგრანტო პროექტის ფარგლებში შეძენილი აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

სასწავლო კორპუსების, აუდიტორიების, ლაბორატორიების, ბიბლიოთეკის, კომპიუტერული ცენტრების ფაქტობრივი მდგომარეობა წინა აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში;

აწლუ ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდი;

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</p>
<p>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>„მოდის დიზაინი და ტექნოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტის გაანგარიშება ხდება უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული ყოველწლიური ხარჯის გაანგარიშების სპეციალური ელექტრონული პროგრამით, რომელშიც გათვალისწინებულია პროგრამის სასწავლო პროცესის, პრაქტიკის და კვლევითი კომპონენტების ხარჯი, წლის განმავლობაში პროგრამის განვითარებისათვის გასაწევი ინფრასტრუქტურული და სახარჯო მასალები, მომარაგების ხარჯები.</p> <p>პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახორციელებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p>
<p>რეკომენდაციები:</p>



რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<input checked="" type="checkbox"/>			

სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

<b>შიდა ხარისხის შეფასება</b>
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
<b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b>
<b>არ შეფასდა</b>
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
<b>შეფასება</b>

<b>გარე ხარისხის შეფასება</b>
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
<b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b>
<b>არ შეფასდა</b>
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
<b>შეფასება</b>

<b>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</b>
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური,

სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი არ შეფასდა
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input checked="" type="checkbox"/>			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: **მოდის დიზაინი და ტექნოლოგია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 33

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input checked="" type="checkbox"/>			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		<input checked="" type="checkbox"/>		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	არ შეფასდა			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<input checked="" type="checkbox"/>			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	არ შეფასდა			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა *ნ. მღვმ*

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა